თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №4

24 აგვისტო, 2016

თბილისი,

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ცინცაძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ეუთო-ს სამმართველოს უფროსი ანი გაბრიჭიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
- შპს „საქართველოს ფოსტა" – გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე.

<u>კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:</u>

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – გიორგი ტუღუში;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ეროვნული ერთიანობის პარტია" – თამარ ღვინაძე;
- „თავისუფალი საქართველო" – კახა კუკავა;
- „მემარცხენე ალიანსი" – პაატა ჯიბლაძე;
- „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის" – შალვა კუპატაძე;
- „ხათუნა მაჭავარიანი – ქალთა პარტია" – თამარ მუსხელიშვილი;
- „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები" – მიხეილ ჩემია.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი" (IFES) – დავით ღონღაძე;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – დავით ფარულავა;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – ნინო ღუდუშაური;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI) – ირაკლი სირბილაძე, ნატაშა როტჩაილდი;
- „ევროპის საბჭო" (COE) – არჩილ ფაშალიშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED) – ნინო რიჟამაძე;

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ანა ნაცვლიშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი;
– „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
– „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) – ედუარდ მარიკაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის, ბატონი ლევან ჩიკვაიძის, ინფორმაციის მოსმენა – შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ არსებული ხელშეკრულების შეწყვეტისა და ტარიფების გაზრდის შესახებ;
2016 წლის 10 აგვისტოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წერილების გადაზიდვაზე უარის თქმის თაობაზე.

2) „ლეიბორისტული პარტიის“ განცხადებაზე უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენა.
ბორჯომში წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს „ლეიბორისტული პარტიის“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი გიუაშვილზე განხორციელებული შესაძლო თავდასხმის (ცემის) თაობაზე.

3) ა(ა)იპ „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა დმანისში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივ შტაბში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივთა შეჭრის თაობაზე, რა დროსაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მაჟორიტარობის კანდიდატსა და შტაბის წევრს.

4) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა:

4.1 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციისა და, ამავე დროს, №25 საარჩევნო ოლქში წარდგენილ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბზე განხორციელებულ შესაძლო ძალადობასა და ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების ფაქტზე;

4.2 ქ. გორში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის რაიონული ორგანიზაციისა და საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების – ალექსი გოგლიძის და ბადრი ბასიშვილის – საარჩევნო შტაბზე განხორციელებული ქონების დაზიანებისა და განადგურების თაობაზე; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ოფისი ცენტრალური შესასვლელი კარის შესაძლო გატეხვის თაობაზე;

4.3 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს რაიონის №5 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, სევდია უგრეხელიძის, საარჩევნო შტაბის ფასადზე განთავსებული ბანერისა და კანდიდატის ფოტოსურათის დაზიანებისა და განადგურების ფაქტის შესახებ;

4.4 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ახალციხე-ადიგენის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი კოპაძის მონაწილეობასა და სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით;

4.5 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მამუკა მსხალაძის მიერ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო შეხვედრებსა და აგიტაციებში მონაწილეობის მიღების ფაქტის შესახებ; სამუშაო საათებში ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელ მერაბ ვარშალომიძის მხრიდან განხორცილებული პარტიული საქმიანობის თაობაზე;

4.6 „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაშვებულ რეკლამაზე – სატელევიზიო კლიპში საუბარია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სამთავრობო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამუშაოების დემონსტრირებაზე, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რეკლამირების აღქმას იწვევს.

5) სხვადასხვა.

კომისია შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვას, რომელიც ეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ პოლიტიკური პარტიისთვის მომსახურების ტარიფის ცვლილებას, რასთან დაკავშირებითაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს ფოსტას დაევალა, მპგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მომსახურება გაუწიოს ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საქართველოს ფოსტის გენერალურ დირექტორს, ბატონ ლევან ჩიკვაიძეს, რომელმაც წარმოადგინა საქართველოს ფოსტის პოზიცია მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებასთან დაკავშირებით. მან საუბრის დასაწყისშივე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფოსტის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის შეთავაზებული მომსახურება მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული და დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მსოფლიოს საფოსტო კავშირის, ექსპერტების რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ სრულიად შეიცვალა საქართველოს ფოსტის საექსპლუატაციო სქემა, მათ შორის, ბიზნესპროცესი. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იქნა მიღებული გაუმჯობესებული და ახალი პროდუქტები.

ბატონი ლევან ჩიკვაიძის თქმით, ზემოაღნიშნული ცვლილებების შემდგომ, წლის დასაწყისში, დაახლოვებით, 2700 კონტრაქტორთან დაიწყო პროცედურები, რაც გამოიხატებოდა ხელშეკრულებების შეცვლით ან ხელშეკრულების შეწყვეტის და შემდეგ ახალი ხელშეკრულების გაფორმებით. მან სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ არცერთ კონტრაქტორს არ ჰქონია შეფერხება საფოსტო მომსახურებაში, მათ შორის, არც მპგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ საქართველოს ფოსტის შეთავაზება კი ის იყო, რომ შეწყვეტილიყო ძველი და გაფორმებულიყო ახალი ხელშეკრულება, რომელიც მათთვის გაგზავნილ წერილს ერთვოდა დანართად.

საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოყენებულ საკითხს, რომელიც ეხებოდა 2016 წლის 10 აგვისტოს ამ პარტიისთვის საქართველოს ფოსტის მიერ მომსახურების გაწევაზე უარის თქმას. პირველ რიგში, ბატონმა ლევან ჩიკვაიძემ ახსენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ამ საკითხის სარჩელის უზრუნველყოფისთვის სასამართლოში გასაჩივრების ფაქტი, რომლითაც პარტიის მიერ მოთხოვნილ იქნა ძველი ხელშეკრულების ძალაში დატოვება (სასამართლომ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა საქართველოს ფოსტასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება). აღნიშნული ხელშეკრულებით შედარებით ნაკლები ტარიფია განსაზღვრული, თუმცა, მეორე მხრივ, კორესპონდენციის ჩაბარების უფრო ხანგრძლივი ვადებია გათვალისწინებული. სწორედ 2012 წლის ხელშეკრულების მხედველობაში მიღებით, 10 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის" მიერ მოთხოვნილი კურიერის მომსახურება განხორციელდა მეორე დღეს, 11 აგვისტოს, რაც სრულად აკმაყოფილებს მათ შორის არსებული სასამართლოს მიერ ძალაში დატოვებული ხელშეკრულების პირობებს, სადაც ცალსახადაა აღნიშნული, რომ მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს არაუგვიანეს მეორე დღისა.

გამოსვლის დასასრულ, საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს ფოსტის სიახლე, რომელიც საარჩევნოდ კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური საარჩევნო მინიმალური ტარიფის შემოღებას გულისხმობს; ეს კი ხელსაყრელი იქნება საარჩევნო სუბიექტებისთვის და მათ შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ სპეციალური ტარიფით მაღალი ხარისხის სხვადასხვა მომსახურება შემცირებულ ვადებში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" დადგენილი სხვადასხვა ვადის დაცვას. თუმცა, მან იქვე დაამატა, რომ ამ ახალი სპეციალური ტარიფის ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით ამოქმედება და გამოყენება ამ ეტაპზე ვერ მოხდება, რადგან ძალაშია შესასრულებლად სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა ტარიფს და შესაბამისად, სხვა ვადებში მომსახურების გაწევას. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შეცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს ფოსტასთან მიმართებით და შეწყდება სასამართლო დავაც, შესაძლებელი იქნება საქართველოს ფოსტის მხრიდან ზემოაღნიშნული სიახლის შეთავაზება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვისაც" როგორც არჩევნებში მონაწილე სუბიექტისთვის.

საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ტუღუშმა. როგორც მან აღნიშნა, უმჯობესი იქნებოდა, სასამართლო დავის გარეშე დარეგულირებულიყო მისი პოლიტიკური პარტიის ურთიერთობა საქართველოს ფოსტასთან და იქვე განმარტა დავის გამოწვევის მიზეზი, კერძოდ, ახალი ხელშეკრულება მის პოლიტიკურ პარტიას აყენებდა უარეს პირობებში, რაც გასაჩივრდა კიდეც და სასამართლოს მხრიდან მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სარჩელის გათვალისწინება.

საპასუხო კომენტარში ლევან ჩიკვაიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ფოსტას არ დაურღვევია მოქმედი კანონი, ნორმები, ასევე, არ დარღვეულა კონტრაქტი და ყველა შეთავაზება მათი მხრიდან იყო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი ამოწურულად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მიესალმება საქართველოს ფოსტის გადაწყვეტილებას საარჩევნო სუბიექტებისათვის სპეციალური პირობების შეთავაზებასთან დაკავშირებით, რადგან, მიუხედავად ზოგადი სატარიფო პოლიტიკის ცვლილებისა, საქართველოს ფოსტამ გამოავლინა კეთილი ნება და, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საარჩევნო სუბიექტების (როგორც პარტიების, ისე მაჟორიტარებისა და

დამოუკიდებელი კანდიდატების) თანაბარ პირობებში ჩაყენებას, რაც კომისიის მიერ ერთმნიშვნელოვნად დადებითად შესაფასებელია.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ეხებოდა ბორჯომში წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს „ლეიბორისტული პარტიის" ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი გიუაშვილზე განხორციელებულ შესაძლო თავდასხმის (ცემის) ფაქტს. საკითხთან დაკავშირებით თავის სიტყვაში მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, ბორჯომის რაიონულ სამმართველოში გიორგი გიუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე 10 აგვისტოს საქმეზე დაწყებული გამოძიება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს: დაკითხულია ოცამდე მოწმე, დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო სამედიცინო და სასაქონლო ექსპერტიზა. მან იქვე აღნიშნა, რომ გარკვეული წინააღმდეგობრივი მომენტებია მოწმეთა ჩვენებებს შორის, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

კომისიამ იმსჯელა დღის წესრიგის მესამე საკითხზე დმანისში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ადგილობრივ შტაბში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივთა შეჭრის ფაქტთან დაკავშირებით. ინციდენტის დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აღნიშნული პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატსა და შტაბის წევრს. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სხდომის დამსწრეებს ინფორმაცია მიაწოდა მთავარი პროკურორის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს სსკ 125-ე მუხლით, დაკითხულია ინციდენტში მონაწილე ყველა პირი, გამოკვეთილია გარკვეული ქმედებები, რომლებიც საჭიროებს შეფასებას, დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნება, მიღებულ იქნეს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

დღის წესრიგის შესაბამისად, შემდგომ კომისიამ განიხილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებები, რომლებშიც მოყვანილი იყო სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების სხვადასხვა ფაქტი. კერძოდ, ბატონი შალვა ხუციშვილი შეეხო დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციისა და, ამავე დროს, №25 საარჩევნო ოლქში წარდგენილ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბზე განხორციელებულ შესაძლო ძალადობასა და ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება/განადგურების, ასევე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საბურთალოს რაიონის №5 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, სევდია უგრეხელიძის, საარჩევნო შტაბის ფასადზე განთავსებული ბანერისა და კანდიდატის ფოტოსურათის დაზიანებისა და განადგურების ფაქტებს.

პროკურატურის წარმომადგენლის, ბატონი გიორგი გაბიტაშვილის, ინფორმაციით, დედოფლისწყაროში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს სსკ 187-ე მუხლით, დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი; ამოღებულია ის ნივთები, რომლებითაც,

სავარაუდოდ, განხორციელდა ზიანის მიყენება; სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჩვენებები არ არსებობს, თუმცა, დანიშნული ექსპერტიზების შედეგად შესაძლებელი იქნება სავარაუდო ეჭვმიტანილების გამოვლენა და მიყენებული ზიანის შეფასება.

სევდია უგრეხელიძის ბანერის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ინციდენტის თაობაზე პროკურატურაში განცხადება არ შესულა, თუმცა, უწყების წარმომადგენლები თავად დაუკავშირდნენ ქალბატონ სევდიას, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ ეტაპისთვის ბანერი ნანახი არ ჰქონდა და მხოლოდ ინფორმაცია გააჩნდა ბანერის დაზიანების შესახებ. აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურის წარმომადგენელი, ასევე, ესაუბრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ ნათია მამაცაშვილს, რომელმაც 16 აგვისტოს ნახა დაზიანებული ბანერი, თუმცა, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ამის შესახებ არ შეუტყობინებია.

პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დაეთანხმა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი. მისი ინფორმაციით, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებმა შეისწავლეს განცხადებაში აღნიშნული საკითხი ადგილზე გასვლა/დათვალიერების გზით, ესაუბრნენ ქალბატონ სევდია უგრეხელიძეს, რომელსაც პირადად არ გამოუთქვამს პრეტენზია. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თავად არ მიუწოდებია შეტყობინება შესაბამისი სამსახურებისთვის აღნიშნული დაზიანებების აღმოჩენის შესახებ.

დედოფლისწყაროს ინციდენტთან დაკავშირებით გიორგი ტუღუშის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა პროკურატურის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროკურატურამ გამოკითხა სახლის მეპატრონეები, რომლებმაც დაინახეს დაზიანების სავარაუდოდ ჩამდენი პირები. ასევე, დაკითხულია განცხადებაში დასახელებული ზურაბ გონაშვილი, რომელიც უარყოფს ზიანის მიყენების ფაქტს (მისი და სხვა მოწმეების ჩვენებებით დასტურდება, რომ მოცემულ დროს იგი სხვა ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ დასახელებულ მეორე პიროვნებას, ვინმე ზურაბ ხიზანიშვილს, ასეთი პირის იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მოძიება ვერ მოხდა). გიორგი გაბიტაშვილმა გიორგი ტუღუშს მოუწოდა, გამოძიებას მიაწოდონ უფრო კონკრეტული ინფორმაცია.

პროკურატურის წარმომადგენელმა აქვე კომისიას მიაწოდა ინფორმაცია ქ. გორში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გორის რაიონული ორგანიზაციისა და საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების – ალექსი გოგლიძის და ბადრი ბასიშვილის – საარჩევნო შტაბზე განხორციელებული ქონების დაზიანებისა და განადგურების თაობაზე, ასევე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ოფისის ცენტრალური შესასვლელი კარის შესაძლო გატეხვის შესახებ. ბატონმა გიორგიმ

განაცხადა, რომ ორივე ფაქტზე მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება, დაიკითხნენ მოწმეები და დანიშნულია ექსპერტიზები.

კომისიამ მოისმინა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის, ინფორმაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებასთან დაკავშირებით რეგიონებში ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების ფაქტების შესახებ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ახალციხე-ადიგენის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი კოპაძის მონაწილეობასა და სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ 2016 წლის 14 აგვისტოს გაიმართა ღონისძიება „აფხაზეთის ომში დაღუპულთა გახსენება". აღნიშნული ღონისძიება ქალაქ ახალციხეში 2013 წლიდან ტრადიციულად იმართება. ღონისძიებას სხვა მონაწილეებთან ერთად ესწრებოდა ქალაქ ახალციხის ყოფილი მერი გიორგი კოპაძე, როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანი (და არა როგორც პარტია „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ახალციხე-ადიგენის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში). შესაბამისად, დამსწრე საზოგადოების წინაშე სხვა ვეტერანებთან ერთად სიტყვით გამოვიდა გიორგი კოპაძეც, რომელმაც გაიხსენა აფხაზეთის ომის მძიმე დღეები და მისი დაღუპული თანამებრძოლები. სიტყვით გამოსვლისას მას არ გაუწევია წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა და არანაირ კონტექსტში არ უსაუბრია არჩევნების შესახებ (მათ შორის, არც საკუთარ კანდიდატურასა და პოლიტიკურ ხედვებზე).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მამუკა მსხალაძის მიერ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო შეხვედრებსა და აგიტაციებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ განცხადებაში მითითებულ დღეს მამუკა მსხალაძე იმყოფებოდა პარტიული ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა ოფისში. კერძოდ, ოფისის გარეთ მისი ყოფნისას მის მიერ არანაირ პარტიულ ან საარჩევნო საქმიანობას და ამგვარი საქმიანობის გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია. მიღებული ინფორმაციით, დასახელებული პირის მიერ საარჩევნო შტაბის ოფისში ყოფნა და მის მიერ პარტიული საქმიანობა სამუშაო საათებში არ დადასტურდა.

სხდომის თავმჯდომარე გამოეხმაურა წარმოდგენილ ინფორმაციას და მთავრობის ადმინისტრაციისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებს სთხოვა, ადგილობრივ თვითმმართველობებს კიდევ ერთხელ განუმარტონ კანონით დადგენილი რეგულაციები, რათა საჯარო მოხელეებმა მკაფიოდ გამიჯნონ უფლება-მოვალეობები წინასაარჩევნო პერიოდში.

შემდგომ ბატონი შალვა ხუციშვილი შეეხო დღის წესრიგის ბოლო საკითხს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაშვებულ რეკლამასთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სამთავრობო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამუშაოებზე. ბატონმა შალვამ განაცხადა, რომ მსგავს საკითხებზე კომისიამ არაერთგზის იმსჯელა და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, ასევე, დაამატა, რომ უკლებლივ ყველა მსგავსი შინაარსის განცხადება რეაგირებისათვის გადაგზავნილია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, რომლის შესწავლის შედეგებიც უახლოეს პერიოდში გახდებოდა ცნობილი.

ამავე თემაზე აზრი გამოთქვა ბატონმა კახა კუკავამ („თავისუფალი საქართველო“). როგორც მან აღნიშნა, რამდენიმე სარეკლამო ვიდეორგოლი იწვევს მმართველი პარტიის რეკლამირების აღქმას და მიზანშეწონილი იქნება, თუ მომდევნო სხდომაზე კომისია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხზე მსჯელობას. ბატონმა შალვამ გამოთქვა მზაობა და აღნიშნა, რომ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია აუცილებლად განიხილავდა ნებისმიერი მსგავსი შინაარსის საკითხს.

ბატონი დანიელ დავითაშვილი („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) თავის გამოსვლაში შეეხო რამდენიმე საკითხს, მათ შორის, საარჩევნო ბიულეტენების შემაჯამებელ ოქმებში არსებული შეუსაბამობების შესწორებასთან დაკავშირებულ კანონით განსაზღვრულ რეგულაციებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცემულ დადგენილებას საარჩევნო სუბიექტისათვის რიგითი ნომრის მინიჭებასთან მიმართებით.

რიგითი ნომრის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა ბატონმა მიხეილ ჩემიამ („უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“), რომელმაც თავის კომენტარში ისაუბრა პოლიტიკური პარტიების მიერ რიგითი ნომრის არჩევის საკითხზე და ამ მხრივ საარჩევნო პროცესის, საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ. მისი თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილება შეუსაბამობაში მოდის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრულ ნორმებთან.

მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა – უფლის სახელით“) თავის გამოსვლაში ისაუბრა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, რომლებსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან დაუდგინდათ ხარვეზი და ითხოვა, ამ უწყების მიერ დაჩქარებული ტემპებით განხილულიყო ხარვეზის გამოსწორების საკითხი, რათა პარტიებს არ შეჰქმნოდათ პრობლემა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ბატონმა გელამ ყურადღება გაამახვილა სააგიტაციო პლაკატების დაზიანების თაობაზე და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელს კითხვით მიმართა, განხორციელდა თუ არა თვითმმართველობების მიერ სააგიტაციო მასალის მარეგულირებელი დადგენილებების მიღება. ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის 27 ივლისის რეკომენდაცია 70 მუნიციპალიტეტს დაეგზავნა. მისი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტების თითქმის

ნახევარზე მეტს ცვლილება განკარგულებებში უკვე შეტანილი აქვს და დარჩენილ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებშიც სექტემბრის დასაწყისამდე აუცილებლად გატარდება ცვლილებები.

კომისიამ, ასევე, მოისმინა გიორგი ტულუშის განცხადება რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით. მან ყურადღება გაამახვილა ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების დაკავებაზე, ქედასა და სამტრედიაში „ქართული ოცნების" ოფისებში პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ყოფნის ფაქტზე, შეეხო საარჩევნო კომისიებში მიზანმიმართულად „ქართული ოცნების" წარმომადგენელთა ნათესავებისა და ახლობლების დანიშვნის თემას.

სხდომის თავმჯდომარე გამოეხმაურა ზემოდასახელებულ საკითხებს, მათ შორის, ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების დაკავებას, და განაცხადა, რომ აღნიშნული პირები დაკავებულ იქნენ ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით. მათგან ერთ-ერთის მიმართ რამდენიმე ხნის წინ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი 500-ლარიანი ჯარიმის ოდენობით, რომლის მიმართაც კვლავ არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებით და ზემოაღნიშნული ღონისძიებაც სწორედ ამ მიზნით გატარდა. აქვე ბატონმა შალვამ გამოთქვა მზაობა, რომ, პროცესუალური ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული ეჭვების არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელიც დეტალურად შეისწავლის საკითხს.

როგორც ბატონმა შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, ქედასა და სამტრედიაში სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომელთა ყოფნის ფაქტის შესახებ ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებთან და პასუხი მიღებისთანავე ეცნობებათ კომისიის წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. ამის შემდგომ მან კითხვით მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს საარჩევნო კონკურსებთან დაკავშირდებით შესაძლო დარღვევებზე.

საარჩევნო კომისიების ფორმირებასთან დაკავშირებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა, განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და არცერთ მათგანში არ არის წარმოდგენილი რეალური მტკიცებულებანი; ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლა საქმე და არცერთი ხსენებული ფაქტი არ დადასტურდა.

სხდომის მიმდინარეობისას ქალბატონმა ნინო რიჟამაძემ (ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება") განსახილველად წარმოადგინა მისი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში შესული რამდენიმე საკითხი, კერძოდ, ზეწოლა/მუქარის, ადმინისტრაციული რესურსისა და საბიუჯეტო სახსრების გამოყენების

ფაქტებზე. მან მაგალითად მოიყვანა ქ. ვანში მომხდარი ინციდენტი, როდესაც პარტიის – „სახელმწიფო ხალხისთვის“ – წევრზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, ძალადობა და მუქარა. ამასთან, მან გაამახვილა ყურადღება 2016 წლის 17 აგვისტომდე რეგისტრირებული დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატების მიერ დეკლარაციის წარუდგენლობისთვის საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დაჯარიმების ფაქტზე. გამომსვლელმა მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაჟორიტარობის კანდიდატს რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში აქვს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, თუმცა, როგორც კანდიდატები აღნიშნავენ, რეგისტრაციის დროს არ მომხდარა მათი გაფრთხილება. მან ისაუბრა სოციალურ ქსელში სამუშაო საათებში საჯარო მოხელეთა მიერ აგიტაციისა და სარეკლამო საქმიანობის წარმოების თაობაზეც.

სხდომის თავმჯდომარემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ როგორც მაჟორიტარობის კანდიდატების დაჯარიმების ფაქტი, ისე ზეწოლა/მუქარის, ადმინისტრაციული რესურსისა და საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შემთხვევებს სწავლობენ კომპეტენტური უწყებები და მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად შესაძლებელი იქნება რეალური სურათის დანახვა.

საჯარო მოხელეთა მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს თხოვნით მიმართა, რომ თავიანთ თანამშრომლებს თათბირის ან ბრიფინგის სახით კიდევ ერთხელ მიაწოდონ ინფორმაცია და განუმარტონ, თუ რა შეზღუდვები აქვთ სამუშაო და არასამუშაო საათებში საჯარო მოხელეებს.

კომისიამ მოისმინა ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის (ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) განცხადება საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის რამდენიმე ფაქტის თაობაზე. მათ შორის, მან ისაუბრა 2016 წლის 8 აგვისტოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა პროგრამას – „ცხოვრება გრძელდება“. როგორც პრემიერ-მინისტრმა გამოსვლისას აღნიშნა, პროგრამა ხორციელდება „ქართული ოცნების“; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და ფინანსთა სამინისტროების ერთობლივი მოქმედებით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, ეს არის ადმინისტრაციული რესურსის, ამასთან, სამსახურებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ანა ნაცვლიშვილმა, ასევე, ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის შენობაზე „ქართული ოცნების“ დროშის აღმართვის, სოფელ ქვიანის სკოლის ავტობუსით „ქართული ოცნების“ შეხვედრაზე მხარდამჭერების გადაყვანისა და პოლიციის თანამშრომლის წინასაარჩევნო შეხვედრაზე ფორმის გარეშე გამოცხადების თაობაზე.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა განმარტა, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადების შესახებ საკითხი შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში. რაც შეეხება საბავშვო ბაღსა და სკოლასთან დაკავშირებულ ინციდენტებს, მან კითხვით მიმართა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეაგირების სახით, ვინაიდან სააგიტაციო მასალის განთავსება დაუყოვნებლივ არ იქნა აღკვეთილი საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის" ხელმძღვანელისადმი გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება. თავის მხრივ, ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციამ ზონის უფროსს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ასევე, იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა ზემოაღნიშნულის თაობაზე დროულად არ იყო ინფორმირებული, კიდევ ორი პირის (ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის და აღნიშნულ მშენებლობაზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი საჯარო მოსამსახურის – ზედამხედველის) მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ლია გიგაურმა, სკოლის ავტობუსის გამოყენებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის №302 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სსიპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლის" მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სარგებლობის უფლებით შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სკოლის ბალანსზე არსებული ავტობუსი, რომელიც გამოყენებულ იქნა ზემოაღნიშნულ ღონისძიებაზე მოსახლეობის ტრანსპორტირების მიზნით.

ბატონი შალვა ხუციშვილის მიერ პოლიციელთა შეხვედრებზე ფორმის გარეშე შესაძლო მისვლის ფაქტთან დაკავშირებით განმარტა, რომ, სამწუხაროდ, სამხარეო პოლიციის უფროსების უნიფორმის დიზაინი არ არის რეგლამენტირებული. შესაბამისად, კონკრეტულად ამ პოზიციაზე მყოფ თანამშრომლებს არ მოეთხოვებათ უნიფორმით სიარული. მანვე დასძინა, რომ უნიფორმების საკითხი განხილვის პროცესშია და სულ მალე დამტკიცდება შესაბამისი ბრძანებით. ბატონმა შალვამ აქვე დაამატა, რომ სექტემბერში გამოიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება არჩევნების დღეს და წინასაარჩევნო პერიოდში საპოლიციო ქცევის სტანდარტების შესახებ.

სხდომის დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 07 სექტემბერი, ოთხშაბათი, 18.00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – გიორგი ტუღუში;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „თავისუფალი საქართველო" – კახა კუკავა;
- „მემარცხენე ალიანსი" – პაატა ჯიბლაძე;
- „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები" – მიხეილ ჩემია.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი" – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" – ანა ნაცვლიშვილი;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED) – ნინო რიჟამაძე.

სხდომა დასრულდა 20.15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: